აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

01-04/30

5.05.2022

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატის) სტუდენტთა ადგილმონაცვლე წევრის არჩევნების ჩატარების თარიღისა და ადგილის, კანდიდატთა რეგისტრაციის ვადებისა და კანდიდატის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

ს ს ი პ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებისა და სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსისა და შესაბამისი ფაკულტეტების დებულებების შესაბამისად ვბრძანებ:

მუხლი 1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 2 წევრით

მუხლი 2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 4 წევრით

მუხლი 3. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში პედაგოგიური ფაკულტეტიდან სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 1 წევრით

მუხლი 4. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 1 წევრით

მუხლი 5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტიდან სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 1 წევრით

მუხლი 6. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში მედიცინის ფაკულტეტიდან სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 1 წევრით

მუხლი 7. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტიდან სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 1 წევრით

მუხლი 8. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში საზღვაო - სატრანსპორტო ფაკულტეტიდან სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 1 წევრით

მუხლი 9. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში აგრარული ფაკულტეტიდან სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 1 წევრით

მუხლი 10. ამ გრძანებით განსაზღვრული წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტების წარმომადგენელთა არჩევნები ჩატარდეს 2022 წლის 6 ივნისს, 10სთ.-დან 16სთ.-მდე. ფაკულტეტების მიხედვით არჩევნები ჩატარდეს შემდეგ აუდიტორიებში:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - აუდიტორია № 3316 (მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59);

ბ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე - აუდიტორია № 4402 (მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59);

გ) საინჟინრო-ტექნიკურ ფაკულტეტზე - აუდიტორია №101 (მისამართი: ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი №98)

დ) ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - აუდიტორია №1212 (მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59);

ე) საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე - აუდიტორია №213 (მისამართი: ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი, მე-2 შესახვევი №24)

ვ) მედიცინის ფაკულტეტზე - აუდიტორია №1133 (მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59);

ზ) პედაგოგიურ ფაკულტეტზე - აუდიტორია №2405 (მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59);

თ) საზღვაო - სატრანსპორტო ფაკულტეტზე - აუდიტორია №1 - სააქტო დარბაზი (მისამართი: ფოთი, 9 აპრილის ხეივანი №11)

მუხლი 11. აწსუ წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტთა მიერ ასარჩევ წარმომადგენელთა (კანდიდატთა) რეგისტრაცია იწარმოებს 2022 წლის 16 მაისიდან 2022 წლის 30 მაისის ჩათვლით. კანდიდატთა რეგისტრაცია და დოკუმენტების მიღება იწარმოებს 12^{00} საათიდან 15^{00} საათამდე. კანდიდატთა რეგისტრაციას და დოკუმენტების მიღებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა № 59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი № 1138.

მუხლი 12. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადი განცხადება კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ.

მუხლი 13. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 12-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული წარმომადგენლობით საბჭოს შემადგენლობაში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს წარმომადგენლობით საბჭოს სრული შემადგენლობის 1/3-ზე არანაკლები მთელი რიცხვით

]**მუხლი 14.** უნვერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს:

ა) ამ ბრძანებით და შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება;

ბ) შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცება.

მუხლი 15. უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურმა საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებით

წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვიდან გამომდინარე, უზრუნველყოს შესაბამისი ხარჯების გამოყოფა.

მუხლი 16. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 17. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება და უნივერსიტეტის შესაბამისი სტურუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა. . ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს.

მუხლი 18. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, მედიცინის, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, საინჟინრო-ტექნოლოგიური, საზღვაო-სატრანსპორტო, ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა, აგრარული, საინჟინრო-ტექნიკური და პედაგოგიური ფაკულტეტების დეკანებმა და სტუდენტურმა თვითმმართველობამ უზრუნველყონ ამ ბრძანების გაცნობა შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და ამ ბრძანების ფაკულტეტების საინფორმაციო დაფაზე გამოკვრა.

მუხლი 19 კონკურსანტების მიერ პრეტენზიების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 7 ივნისის ჩათვლით 16 საათამდე

მუხლი 20. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აწსუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელი /შალვა კირთაძე/

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: /მიხდია ბერეკაშვილი/